ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს რადიო-ივერიის

სამაუწყებლო კონცეფცია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს რადიო-ივერიის მოქმედი სამაუწყებლო ბადით მაუწყებლობის გეოგრაფიული არეალის (საჩხერე, ჭიათურა, ბორჯომი, დუშეთი, თიანეთი) გაზრდის და სათემო რადიომაუწყებლობის დამატებითი სიხშირეების ლიცენზიის მოსაპოვებლად.

ლიცენზიის სახე: რადიომაუწყებლობა;

ლიცენზიის სახეობა: სათემო მაუწყებლობა;

მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული ზონა: საჩხერე, ჭიათურა, ბორჯომი, დუშეთი, თიანეთი;

მაუწყებლობის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში - 24 საათი;

მაუწყებლობის ენა-ქართული.

რადიო ,,ივერია" მაუწყებლობის დაწყებიდან უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს სამაუწყებლო საქმიანობას. მაუწყებლობა ხორციელდება სათემო რადიომაუწყებლობის №B182 ლიცენზიის საფუძველზე.

რადიომაუწყებლობა ემსახურება მართლმადიდებლური თემის ინტერესებს და უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში იმ საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობას, რომელსაც იგი ემსახურება.

ეთერში გადის საკუთარი წარმოების გადაცემები.

შინაარსი

რადიოს მისია, მიზანი და სტრატეგია

რადიოს ძირითადი რუბრიკები

- საღვთისმეტყველო (რელიგიური) მიმართულება

შვიდგზის ლოცვა
დილა-საღამოს ლოცვები
წმინდანთა ცხოვრება
პატრიარქის ქადაგება
წმიდა წერილი და მისი განმარტებანი
ფსალმუნები და მათი განმარტებანი
ღვთისმეტყველება:(საღვთისმეტყველო საუბრები, საღვთისმეტყველო საკითხავები) დოგმატური ღვთისმეტყველება, მისიონერობა, რელიგიის ფილოსოფია, ლიტურგიული გადმოცემები, ჰომილეტიკა, პატრისტიკა, საეკლესიო და სახელმწიფო სამართლის საფუძვლები, მსოფლიო რელიგიების ისტორია, ჩვენი ღვთიური საუნჯე
ეკლესია-მონასტრები, ქართველთა მონასტრები და სამოღვაწეო კერები საზღვარგარეთ,
საუბარი მოძღვართან, კატეხიზმო-მრწამსი, ათი მცნება, ცხრა ნეტარება
სწავლებანი და შეგონებანი

- ლიტერატურული

საუბარი ლიტერატურზე, კულტურაზე
საუბარი სტუდიაში
ლიტერატურული შედევრები-პოეზიის დრო
ფოლკლორი

- ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმართულება

ისტორიული ეტიუდები-ეთნოგრაფიული ჩანახატები: მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, მუსიკალური კულტურა, რელიგიები, ეთნოსები საქართველოში, ქართველთა ეთნოგენეზი და სხვ.

- ხელოვნების მიმართულება

მხატვრის პალიტრა

- მუსიკალური მიმართულება
- საზოგადოებრივი მიმართულება

საუბარი მართლმადიდებლურ ზნეობაზე
შეხვედრის ადგილი
მცირე აკადემია
შეხვედრები

- სოფლისმეურნეობის

ქართული სოფელი

➢ *რადიოს სტრუქტურა*



➢ *რადიოს მისია და მიზანი* _მართლმადიდებლური მედიის სპეციფიკის გათვალისწინებით რადიოს მისია სულიერი განათლების მისიის აღსრულებაა უმთავრესი ფუნქცია კი მისიონერობა და საგანმანათლებლო საქმიანობა, უფლის მცნებათა უკეთესად შესამეცნებლად ქადაგება, რადიომსმენელის როგორც პიროვნული, ისე ეროვნული თვითშეგნების ამაღლება. რადიოს შემეცნებითი, სასწავლო - საგანმანათლებლო, სამეცნიერო გადაცემები ემსახურება საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ტრადიციულ ფასეულ ღირებულებათა დამკვიდრებას, მეცნიერებისა და კულტურის სიახლეთა პროპაგანდას. აქედან გამომდინარე, მისი პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემებზე კომპეტენტური მსჯელობა. ეს არის ის მეტაფიზიკური ვერტიკალი, რომელიც განსაზღვრავს მართლმადიდებლური მედიის შინაარსს ანუ თემატიკას.

რადიოს ქვაკუთხედი რელიგიური გადაცემებია, უპირველესი დანიშნულება- ღვთის სიტყვის ქადაგება და მისი გავრცელება. მაგრამ რადიო მხოლოდ საღვთისმეტყველო თემატიკით არ შემოიფარგლება. საქართველოს ოდითგანვე მდიდარი ტრადიცია ჰქონდა განათლებისა, სამყაროს შემეცნებისა. მის განსაკუთრებულ თვისებას კი, სწორედ სარწმუნოებით განმტკიცებული მეცნიერება ქმნიდა. რადიოს მიზანია ეროვნული ფასეულობების და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება, მეცნიერების და რწმენის თანაარსებობა, ქართული სააზროვნო სისტემის ერთგულება.

➢ *სტრატეგია_ფუნქციური, პროგრამული, თემატური,* _ ეს რადიო რადიოპროგრამების და საერთოდ, რადიომაუწყებლობის ფუნქციას ასრულებს ჟურნალისტიკაში ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციით: საინფორმაციო, ანალიტიკური, შემეცნებითი, გასართობი, კულტურულ-ესთეტიკური, სასწავლო-აღმზრდელობითი.

ჩამოთვლილი ექვსი ფუნქციის გარდა რადიო ქმნის ე.წ. ორიგინალური ჟანრის პროდუქციასაც-რადიოდადგმას.

აღნიშნულ ფუნქციათაგან ჩვენი რადიოს უმთავრესი ფუნქციაა განათლება, შემეცნება და ანალიზი. თუმცა, რასაკვირველია, ესთეტიკური აღზრდა, კულტურული ფასეულობების დანერგვა-დამკვიდრებაც.

რადიოს გადაცემები გათვალისწინებული და დაგეგმილია თითქმის ყველა სახის მსმენელისათვის. იგი ემსახურება მთელი ქართველი ერის და საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს (საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ), როგორც მართლმადიდებელ ეკლესიურ, ისე არაეკლესიურ რადიომსმენელს.

რადიო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ზრუნავს მხედველობა დაქვეითებულ მსმენელზე, რათა მათ შეძლონ წაუკითხველი მასალის დეფიციტი ამ რადიოში მოსმენილით შევსება.

რადიოპროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებების კუთხით რადიო მრავალფეროვანია და გადაცემათა თითქმის ყველა ტექნიკურ სახეს იყენებს, იგი ქმნის:

1. ორიგინალურ გადაცემებს, რომელსაც პირდაპირ ეთერს უწოდებენ;
2. რეპროდუქტიულს ანუ ჩაწერილს;
3. სინთეზურს ანუ შერეულს, სადაც ჩანაწერიც არის და პირდაპირი ეთერიც;
4. რეტრანსლირებულს;

ძირითადად, გადაცემები, მათი პროფილიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩანაწერის სახით მზადდება, რადგან მათ ფიქრი, განსჯა, დინჯი რიტმი და ტემპი ახასიათებთ.

რადიო პროგრამა საკმაოდ რთული სტრუქტურის ერთობლიობაა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს. იგი თავის თავში მოიცავს პუბლიცისტიკასაც და მხატვრულ პროგრამებსაც. საღვთისმეტყველო თემებთან ერთად მნიშვნელოვანი საეთერო დრო ეთმობა აქტუალურ სოციალურ თემატიკას, საუბრებს საზოგადო მოღვაწეებთან, იმ ადამიანებთან, რომელთაც ქართულ კულტურას და მეცნიერებას რაიმე ღირებული შესძინეს. რადიომ მასობრივი აუდიტორია უნდა გაანათლოს _ ეს მისი მთავარი ამოცანაა. ისტორია, კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფერო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს რადიოპროგრამაში. ამ რადიოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეს თემები საღვთისმეტყველო მსოფლმხედველობით იქნება განხილული.

დიდი ყურადღება ექცევა ქართულ პოეზიას, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს, მხატვრულ კითხვას, მხატვრულ ნაწარმოებთა რადიოვერსიას ავტორის ან მსახიობის შესრულებით, ქართულ საგალობლებს, ხალხურ, საესტრადო და კლასიკურ მუსიკას.

თემატური პრიორიტეტები მართლმადიდებლური მედიისთვის არის მისიონერობა და საგანმანათლებლო საქმიანობა. აღნიშნული თვალსაზრისით, რადიოში სიხშირით გამორჩეულია ისეთი თემატური რკალები, როგორებიცაა: ქადაგებები, წმინდა წერილი, განმარტებები, ეკლესიის ისტორია, მაგრამ საღვთისმეტყველო გადაცემების გვერდით არანაკლები სიხშირით იქნება ლიტერატურული, ისტორიული თემატიკა, ღვაწლმოსილ ქართველთა ცხოვრება და შემოქმედება. რადიოს ეთერში დიდი ადგილი დაეთმობა ჩვენი მოსახლეობისათვის აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებს. დიალოგი საჭირბოროტო სოციალურ საკითხებზე ციკლური გადაცემების სახით წარიმართება.

- რადიო მიზანად ისახავს_იმედიანი, ნუგეშის მიმცემი სიტყვა უთხრას მსმენელს, სულიერად გაამხნევოს ისინი.

➢ *რადიოს ძირითადი რუბრიკები*

- *რელიგიური მიმაღთულება*



შვიდგზის ლოცვა

- *შვიდგზის ლოცვის უძველესი ტრადიცია იყო საქართველოში. ეს ტრადიცია უწმინდესმა აღადგინა. იგი ეფუძვნება დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს-„შვიდგზის დღესა შინა გაქებდე შენ უფალო".*

რადიო ყოველდღე დღეში შვიდჯერ გადასცეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და მაღალიერარქების მიერ წაკითხულ ლოცვებს. რადიოპროგრამის სამაუწყებლო ბადეში მას მუდმივად ზუსტად განსაზღვრული დრო ექნება განკუთვნილი.

- *დილა-საღამოს ლოცვები, განმარტებანი*

რადიო მსმენელს საშუალებას მისცემს რადიო ეთერით მოისმინოს დილა-საღამოს ლოცვები.

ხშირად განიმარტება ლოცვის მნიშვნელობა. იკითხება ფრაგმენტები ქრისტიანისთვის და არა მარტო ქრისტიანისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნებიდან ლოცვის შესახებ.



- *წმინდანთა ცხოვრება*

რადიო ყოველდღიურად გადასცეს წმინდანთა ცხოვრება.

ამქვეყნადვე იყვნენ ადამიანები, რომელთაც სიწმინდით იცხოვრეს, მათ ღმერთი უფრო შეიყვარეს ვიდრე წუთისოფელი.

როდესაც ამ ადამიანთა ცხოვრებას ეცნობი, სხვაგვარი ხდები. მათი ღვაწლი უდიდესი მაგალითია ჩვენთვის. ისინი ორიენტაციას აძლევენ ჩვენს ცხოვრებას და უხილავად გვეხმარებიან.

ამ გადაცემის მიზანი, რა თქმა უნდა, შემეცნებითი ხასიათისაც არის. იგი ქართველებთან ერთად **სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეპოქის წმინდანთა** ცხოვრების გაცნობას ისახავს იზნად.



- *პატრიარქის ქადაგება, ფრაგმენტები ქადაგებიდან*

რადიო ეთერით ყოველკვირეულად გადასცეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ქადაგებას და ფრაგმენტებს ქადაგებებიდან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უბრალოებით, სიბრძნითა და ღვთისმოსაობით აღსავსე დარიგების მოსმენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მსმენელი უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარმოთქმული სწავლებიდან შეიცნობს ღვთისმსახურების დიდ მადლს, რწმენის, ქვეყნისადმი ერთგულების განსაკუთრებულ ღირსებას, სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელობას.

- *წმიდა წერილი და მისი განმარტებანი*

მსმენელს საშუალება ექნება ყოველ დღე ძველი აღთქმის წიგნები და სახარება მოისმინოს. წმიდა წერილს რადიომსმენელს ძველსა და ახალ ქართულზე შევთავაზებთ.

სახარება თავის თავში მოიცავს ჩვენი სულიერი ცხოვრების სრულ პროგრამას და აღქმული უნდა იყოს, როგორც ,,ფუძე-საწყისი ყოველივესი".

წმინდა წერილის განმარტება საჭიროა ამ წიგნების შესწავლა-შემეცნებისათვის, მათი უკეთ გათავისებისათვის. რადგან ეს რადიოსაუბრები გათვალისწინებულია მსმენელთა ფართო წრისათვის ავტორები მოგვითხრობენ და ყურადღებას გაამახვილებენ პირველ რიგში: ამ წიგნთა შექმნის ისტორიაზე, მათი დაწერის თარიღზე, ენაზე, ავტორთა მსოფლმხედველობაზე, გაანალიზებენ ამ წიგნებში მოთხრობილ ისტორიებს.



- *ფსალმუნები და მათი განმარტებანი*

რადიო მსმენელს ყოველდღიურად შესთავაზებს ფსალმუნს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მრევლს დავალებული აქვს საქართველოს გასაძლიერებლად, ქვეყანაში მართლმადიდებლობის ასაღორძინებლად და გასამტკიცებლად ყოველდღე იკითხონ ფსალმუნები. ქვეყანაში განსაცდელის მოძალების ჟამს პატრიარქი მლოცველებს კიდევ ერთხელ შეახსენებს ხოლმე ფსალმუნთა ძალას და თხოვს მეტი გულმოდგინებით იკითხონ **კანონები. რადიოც მუდამ გულისხმიერებით ცდილობა ეკლესიის ცხოვრების წესს მიჰყვეს** და ძველი აღთქმის თუ სახარების წიგნთა ტექსტის კითხვის მსგავსად ფსალმუნთა კითხვაც ყოველდღიურ უცვლელ ციკლად შესთავაზოს მსმენელს.

ფსალმუნთა სათქმელი, ისევე, როგორც ყოველი წიგნის სათქმელი ბიბლიიდან, ძალიან ბევრ შეკითხვას და საფიქრალს უჩენს ადამიანს. ამ სიბრძნის შეცნობა და მიღება მაშინ არის შესაძლებელი, თუკი ღვთის სიტყვის მნიშვნელობას მივწვდებით, ეს კი საგანგებო სწავლებით მიიღწევა". ამიტომ რადიო მსმენელს სთავაზობს **გადაცემათა ციკლს რუბრიკით ,,ფსალმუნთა განმარტებანი_,,სადაცა ფსალმუნებიჲ არს მუნ არს ღმერთი".**

გადაცემათა ამ ციკლში ფსალმუნების მუხლები წმიდა მამათა და სხვა კომენტატორთა ნააზრევისა და საგულისხმო დაკვირვებების საფუძველზე იქნება გაანალიზებული. გადაცემის მიზანია დაეხმაროს რადიომსმენელს ღრმად ჩაწვდნენ ფსალმუნების ნამდვილ შინაარსა და მნიშვნელობას.

მეცნიერებისა და კულტურის უახლესი მიღწევები, ახალი ტექნოლოგიები თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. განვითარებული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საზოგადოება ჰიპერინფორმირებულია.

სასულიერო პირები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. მათგან ხშირად ითხოვენ ცხოვრების სიახლეებისა თუ ბუნების კატაკლიზმების შეფასებას. ყველა კითხვაზე პასუხი კი, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, საღვთო წერილსა და წმინდა მამებისეულ მის განმარტებებში მოიპოვება.

საღვთისმეტყველო გადაცემათა ციკლის *,,ღვთისმეტყველების"-(საღვთისმეტყველო საუბრები, საღთისმეტყველო საკითხავები)* მიზანია რადიომსმენელს გააცნოს:

დოგმატური ღვთისმეტყველება _ ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი დოგმატები და ის საღვთისმეტყველო თემები, რომლებიც წარმოაჩენს სწავლა-მოძღვრებით განსხვავებებს სხვადასხვა დენომინაციებს შორის და მეცნიერებისა და კულტურის თანამედროვე მიღწევების ქრისტიანული ანალიზის საშუალებას იძლევა;

მისიონერობა _ წმინდა წერილის სწავლების მიხედვით ჩამოყალიბებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო მსახურების თეორიული პრინციპები და პრაქტიკული გამოცდილება;

რელიგიის ფილოსოფია _ თანამედროვე ადამიანის რელიგიური ცნობიერების ჩამოყალიბების ანალიზი კლასიკური და თანამედროვე ფილოსოფიური მოძღვრებების მიხედვით;

ჰომილეტიკა _ წმინდა წერილის, დიდი საეკლესიო დღესასწაულებისა და წმინდანთა ცხოვრების მნიშვნელობის ზეპირი განმარტების გადმოცემის პრინციპები წმინდა მამებისა და თანამედროვე სასულიერო მოღვაწეების მიერ წარმოთქმული ქადაგებების მიხედვით;

ლიტურგიული გადმოცემები – ეკლესიის შვიდი საიდუმლოს შინაარსი, ისტორია და სიმბოლური მნიშვნელობა;

საეკლესიო და სახელმწიფო სამართლის საფუძვლები _ სამართლებრივი სისტემა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობა;



- *კატეხიზმო-მრწამსი, ათი მცნება, ცხრა ნეტარება*

კატეხიზმოს განმარტებას, რომელიც მართლმადიდებლური სარწმუნოების, შემოკლებული სწავლება - მოძღვრებაა, პროგრამის მნიშვნელოვანი დრო ექნება დათმობილი რადიოში. საეკლესიო მოძღვრების დებულებანი შემოკლებულად არის მოცემული კატეხიზმოში და ბუნებრივია კატეხიზმოს გაცნობა მსმენელს საშუალებას აძლევს იცოდეს საეკლესიო დოგმები, ჭეშმარიტი რწმენის დებულებანი, რათა შეიმეცნოს თუ რა არის ყველაზე არსებითი საეკლესიო მოძღვრების დასაცავად.

რადიოში მოწვეული მღვდელმსახურნი შემოგვთავაზებენ - მრწამსის, ათი მცნების, ცხრა ნეტარების განმარტებას და მათ თანამედროვე ცხოვრებასთან მისადაგებულ გააზრებას.



სწავლებანი და შეგონებანი

რადიო ძალიან ხშირად გადასცეს **ამონარიდებს და მცირე შეგონებებს სახარებიდან და წმიდა მამათა გამონათქვამებიდან.** რადიოში გამონათქვამები და შეგონებანი ძირითადად **თემატურად იქნება დალაგებული.** თემის უფრო სრულად წარმოჩენისათვის ერთ თემაზე სხვადასხვა მამის გამონათქვამები მუსიკალურად შეიკვრება. მაგალითად, გამონათქვამები:

ღმერთზე, სამეგაზე, უფლის სიყვარულზე, სათნოებებზე, მტკიცე სარწმუნოებაზე, სიმდაბლეზე, სიმშვიდეზე, კაცთმოყვარეობაზე, სულისა და ხორცის სიწმინდით შენახვაზე, ამპარტავნებაზე, პატივმოყვარეობაზე, უმანკოებაზე, მზაკვრობაზე, მდაბალ ზრახვებზე, და ა.შ. გამონათქვამები ლაგდება ვნებათა და სათნოებათა მიხედვითაც, მსმენელმა მათი შეპირისპირებით უკეთ რომ შეძლოს გაანალიზება და უკეთესის არჩევა.

რადიო ცდილობს, რომ მისი ეთერით მიწოდებული მასალა არასდროს იყოს მენტორული. იგი მსმენელს მიაწვდის მასალას ფიქრისა და განსჯისათვის, არჩევანის უფლებასაც მას დაუტოვებს, რადგან ღმერთმა თავისუფალი ნება მიანიჭა ადამიანს იმისათვის, რომ საკუთარი და საუკეთესო არჩევანი გააკეთოს ამ უთვალავი ფერით მოხატულ სამყაროში.

• უფლის მცნებათა უკეთესად შესამეცნებლად რადიო თანამედროვე მამათა გამონათქვამებს და შეგონებებსაც შეთავაზებს თავის რადიომსმენელს, რადგან მათში საღვთისმეტყველო კუთხით არის გააზრებული თანამედროვე პრობლემები.

• *ჩვენი ღვთიური საუნჯე*

ეკლესია-მონასტრების შეეხებ რუბრიკა საქართველოში არსებულ უძველეს ეკლესია-მონასტეთა ისტორიას გაგვაცნობს, მათ წარსულსა და დღევანდელობას ასახავს. რადიომსმენელები ამ გადაცემებიდან გაიგებენ სად და როდის ჩაეყანა საფუძველი ახალი ეკლესიისა თუ არსებული მონასტრის აღდგენა-მშენებლობას, როდის და ვინ აკურთხა ტაძრის საფუძველი, ვინ არიან ქტიტორები, ვინ დადგინდა ტაძრის წინამძღვრად და სხვა.

აქვე გიამბობთ ქართველთა საზღვარგარეთ სამოღვაწეო ადგილთა შესახებ. დაწვრილებით მოგითხრობთ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ და დღეს მოქმედ ეკლესიებზე. სამრევლოებზე, მათ საწუხარსა თუ სიხარულზე.

ამ გადაცემების საშუალებით ეტაპობრივად გავეცნობით მუზეუმებსა და ინსტიტუტის ფონდებში დაცულ სიძველეებს. გავიგებთ, ჩვენი წინაპრები როგორი რუდუნებით ქმნიდნენ და უფრთხილდებოდნენ მათ.

რადიომსმენელი გაეცნობა მსოფლიო ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ ნიმუშებს.

• *ლიტერაურული მიმართულება*

XXI საუკუნეში, ამ საყოველთაო გლობალიზაციის და კომპიუტერიზაციის ეპოქაშიც, ჩვენი მწერლობა არ შეუშინდა ცივილიზაციის ფანტასმაგორიულ ტემპებს და თავადაც აქტიურად ჩაერთო ამ პროცესებში. მაგრამ ისე, რომ კვლავაც ენერგიულად, მიზანმიმართულად იბრძვის, როგორც ზოგადჰუმანური, ზოგადსაკაცობრიო იდეალების, ისე საკუთარი რელიგიის, სულიერებისა და კულტურის, საკუთარი შემოქმედებითი ენერგიის წარმოსაჩენად.

რადიოს ლიტერატურული მიმართულება მოიცვას ლიტერატურის სფეროს თითქმის ყველა ასპექტს_შეხვედრები ყველა თაობის მწერლებთან, გამომცემლებთან, ლიტერატორებთან და ლიტერატურის მოყვარულებთან;

დისკუსიები ლიტერატურის განვითარების ტენდენციებზე, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის სიახლეები.

ეს მიმართულება თემატიკიის მრავალფეროვნებითა და აქტუალობით ყოველთვის გამოირჩევა მისი ამოუწურავი, მარად საინტერესო არსიდან გამომდინარე.

რადიო შემოგთავაზებთ ლიტერატურულ გადაცემებს, რომლებშიც აისახება არამხოლოდ კლასიკადქცეული მწერლობის ისტორია, არამედ მის აწმყოსაც წარმოვაჩენთ. დავსვამთ კითხვებს, თუ როგორია დღეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, რა პრობლემებია მწერლისა და მკითხველის წინაშე, რა მდგომარეობაშია წიგნის, როგორც უდიდესი სულიერი საზრდოს საკითხი. ამ თემებზე ვისაუბრებთ მოწვეულ სტუმრებთან ერთად. მსმენელს გავაცნობთ თანამედროვე ავტორებს.

რადიოს გადაცემათა ამ ციკლებით დაგეგმილი აქვს რადიომსმენელის წინაშე წარმოაჩინოს უძველესი ტრადიციების მქონე და მარად ახალი ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკად ქცეული საგანძური.

- გადაცემით საუბარი ლიტერატურზე, კულტურაზე - მსმენელი ინტენსიურად ეცნობა მხატვრული ლიტერატურის, ზოგადად ჩვენს სახელოვნებო სფეროებში, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, კულტურაში მიმდინარე პროცესესებს და ტენდენციებს. გადაცემაში შუქდება როგორც ქართული ლიტერატურის, ისე მსოფლიო ლიტერატურული სივრცის სიახლეები. სტუდიის სტუმრები არიან ყველა თაობის გამორჩეული, მნიშვნელოვანი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, მუსიკოსები.

გადაცემის რუბრიკებია: სტუმარი; ახალი წიგნები, ლიტერატურული პრესა; ახალი თარგმანები; ჩვენი კლასიკა; ბვირფასი მედალიონები (სამახსოვრო თარიღები), წმ. მამები გვირჩევენ, პოეზიის სამი წუთი.

გადაცემის მიზანია საყოველთაო კომპიუტერიზაციისა და ტოტალური სოციალური ქსელების გაბატონების ეპოქაში, ადამიანები რაღაცა დოზით მაინც მოსწყვიტოს ვირტუალურ სივრცეს და ნამდვილ ხელოვნება–ლიტერატურასთან, თეატრთან, მუსიკასთან ზიარებით დაუბრუნოს მას სიმშვიდისა და წონასწორობის მომგვრელი ინტელექტუალური თუ სულიერი სიხარული.

ქართული საზოგადოების ინტერესი წინაპართა მემკვიდრეობისადმი არასდროს განელებულა. ეს ნაწარმოებები დღესაც ცხოველმყოფელად ზემოქმედებს მკითხველზე. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი ინდივიდუალური შემოქმედია ბევრი ნაწარმოები ბიბლიითაა ნასაზრდოები - ბიბლიური ტექსტები, პერსონაჟები, სახეების აზრობრივი და ემოციური გალერეაა, ნასესხები თუ სიმბოლურად გააზრებული.

ეს გადაცემა მიზნად ისახავს ლიტერატურის სწორედ საღვთისმეტყველო კუთხით წაკითხვას.

- „საუბრები სტუდიაში“ კულტურისა და ხელოვნების შესახებ გადაცემებს აერთიანებს. ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს სახელოვნებო სფეროში მიმდინარე პროცესებს და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ მათ გაშუქებას.

კულტურული სივრცე მრავალ მიმართულებას აერთიანებს: ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო და ა.შ. გადაცემების ციკლი „საუბრები სტუდიაში“ თითოეულ სფეროში არსებულ სიახლეებზე მოგვითხრობს. ახალი გამოცემები, პრეზენტაციები, შემოქმედებითი საღამოები, ფესტივალები, კონკურსები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ თემებისა, რომლებსაც ჩვენი გადაცემები ეხება.

უმთავრესი ყურადღება ლიტერატურაში მიმდინარე მოვლენებს ექცევა. მუდმივად ვთავაზობთ მსმენელს ლიტერატურულ სიახლეებს - **ახალი წიგნებისა და ავტორების შესახებ. დიდ ყურადღებას ვუთმობთ დებიუტებს და დებიუტანტებს.** ჩვენი გადაცემების წყალობით, რადიო „ივერიის“ მსმენელმა არაერთი ქართველი ავტორი გაიცნო (**პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა**). გადაცემაში ვიწვევთ ავტორებს, ვსაუბრობთ მათ შემოქმედებით თავგადასავალზე, ვქმნით მათ ლიტერატურულ პორტრეტებს; ვკითხულობთ ფრაგმენტებს მათი ნაწარმოებებიდან.

„საუბრები სტუდიაში“ დიდ დროს უთმობს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორებიცაა სიმპოზიუმები, ფესტივალები და კონკურსები. მსმენელს ვთავაზობთ პერიოდულ მიმოხილვებს, ვაცნობთ მიმდინარე პროცესების ტენდენციებს, ახალ აქტორებს; ვქმნით განწყობას ინტერაქციისთვის. ვსაუბრობთ პრობლემებზეც, რომლებიც ამგვარ ღონისძიებებს ახლავს, ვმსჯელობთ კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად, ვისმენთ პროფესიონალთა აზრს.

გადაცემებში აღვნიშნავთ მნიშვნელოვან თარიღებს - იქნება ეს იუბილე თუ რომელიმე საკვანძო მოვლენისადმი მიძღვნილი დღე. ვაშუქებთ საზოგადოების დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, ვაქცევთ სახელოვნებო ფაქტებს მსჯელობის საგნად.

მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ **საბავშვო ლიტერატურას** - ამ გამორჩეულ სფეროს ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში. გადაცემის ფარგლებში დავძარით არაერთი პრობლემური საკითხი, ვაქციეთ ის საზოგადოებრივი განსჯის და ზრუნვის საგნად; გავაცანით მსმენელებს ქართველი კლასიკოსი თუ თანამედროვე საბავშვო ავტორები.

ჩვენი გადაცემების ხშირი სტუმრები არიან სხვადასხვა გამომცემლობები, რომლებიც თავიანთ გამოცემებს წარადგენენ, საუბრობენ წიგნის ბაზრის პრობლემებსა და საჭიროებებზე, ტენდენციებსა და პერსპექტივებზე. ვაშუქებთ წიგნის ბაზრობებს.

გადაცემებში ვსაუბრობთ **თეატრალურ ფესტივალებზე, ახალ დადგმებზე, თეატრალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე.**

ვაშუქებთ შემოქმედებითი კავშირების და კოლაბორაციების საქმიანობას.

პანდემიის რთული პერიოდის შემდეგ (რომელმაც კულტურის სფეროს დიდი წინააღმდეგობები შეუქმნა), პროცესი ახალ სიცოცხლეს იძენს და შესაბამისად, ამ პროცესს გადაცემათა ციკლი „საუბრები სტუდიაში“ კვლავ ინტერესით ადევნებს თვალს.



- *ლიტერატურული შედევრები*

რაც უნდა განვითარდეს ტექნოლოგია და შორს წავიდეს ადამიანის ფანტაზია, მაინც ვერაფერი შეცვლის კაცობრიობის უდიდეს

მონაპოვარს _ წიგნს. წიგნში სიტყვაა დაუნჯებული. წიგნს ყველაზე მთავარის მიცემა შეუძლია ადამიანისთვის _ ხსოვნა იმისა, თუ როგორი იყო თავად ადამიანი და სამყარო, როგორია იგი ახლა და როგორი შეიძლება დაინახოს მან საკუთარი თავი.

სწორედ ამიტომ, ისე როგორც არასდროს, დღეს წიგნთან სიახლოვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, მის მეხსიერებაში. უწმინდესი თავის ქადაგებებში ხშირად ბრძანებს: **"წიგნის გარეშე ჩვენ გადავგვარდებით. ის ჩვენი თანამგზავრი უნდა იყოს"**. წიგნის მნიშვნელობის გასახსენებლად და მასთან დასაახლოებლად დააწესა კიდეც პატრიარქმა შაბათი წიგნის დღედ.

რადიო შემოგთავაზებთ წიგნებს, რომლებსაც თქვენთვის მსახიობები და თავად ავტორები წაიკითხავენ. ცნობილი თუ აქამდე უცნობი ნაწარმოებები, შედევრები და დებიუტები _ ესაა ლიტერატურა, რომლის მოსმენაც ჩვენს ეთერში შეგეძლებათ. **რადიოში მოუსმენთ თანამედროვე და კლასიკად ქცეულ ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას და იპოვით თქვენ საყვარელ წიგნს და ავტორს, რათა შემდეგ განმარტოვდეთ თქვენთვის სასურველ ტექსტთან, რომელშიც შესაძლოა, ბევრი კითხვის პასუხიც აღმოაჩინოთ.**



- *ფოლკლორი*

იგი ერის უმთავრესი სულიერი და კულტურული საგანძურია. ქართულ კულტურას, ეროვნულ ცნობიერებას ამ მხრივ მძლავრი ბალავარი აქვს _ ჩვენი ფოლკლორი გამორჩეულად მრავალფეროვანი და თვითმყოფადია მსოფლიოს ხალხთა შემოქმედებაში.

ფოლკლორულ თემატიკაზე შეიქმნილ გადაცემებში მსმენელი **ქართულ და მსოფლიოს ხალხთა კლასიკად ქცეულ ზეპირსიტყვიერების შედევრებს მოუსმენს,** გაგაცნობთ ხალხური შემოქმედების აქამდე უცნობ და უნიკალურ ნიმუშებს; **შეგახსენებთ უკვე აღიარებულ და ყველასთვის კარგად ნაცნობ ავტორებს და მათ პოეზიას.**

ადამიანი გაჩენის დღიდან აკვირდებოდა და სწავლობდა გარემომცველ სამყაროს. ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ ბუნებას და მასთან ურთიერთობაში იყალიბებდნენ თავანთ რწმენა-წარმოდგენებს. ამ პროცესმა რთული და გრძელი გზა განვლო და ჩვენს კულტურას მნიშვნელოვანი ნიმუშები შესძინა. ქრისტიანულმა კულტურამ წარმართობისდროიდნელი არაერთი ნიმუში თუ ხატი იმემკვიდრა და დღეს ეს ყოველივე ჩვენი ყოფისა და სულიერი ცხოვრების ანაბეჭდებია. ეს ყველაფრი მაღალმხატვრული ოსტატობით ჩვენს ფოლკლორშიც აისახა და შედეგად მივიღეთ **მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც საფუძვლად ჩვენი რწმენა, ღმერთთან და ბუნებასთან, ადამიანთან და სამყაროსთან უნიკალური დამოკიდებულება უდევს.** წორედ ამ კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას დაისახავს მიზნად ფოლკლორულ თემატიკაზე შექმნილი გადაცემები.

- *ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმართულება*

უამრავი საინტერესო და იდუმალი ამბავი, კარგად შერჩეული ფაქტები და მოვლენები არა მხოლოდ მსოფლიოს გააცნობს მსმენელს, არამედ ზოგად განათლებასაც მისცემს, რომელიც აუცილებელია პიროვნების სრულყოფის და მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

გადაცემა დაიყოფა რამდენიმე ბლოკად. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, ქართველი ხალხის მიღწევები, სულიერი, მატერიალური, სამეურნეო კულტურის სფეროებსა და სოციალურ ურთიერთობებში; ქართველთა დემოგრაფიული ვითარება; ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმები და ქართველთა ხასიათი_ეს საკითხები_ჩანახატებისა და მეცნიერული კვლევების სახით მიეწოდება მსმენელს.

ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერება და თავისთავადობა ფიზიკური ბრძოლის გარდა ქართულმა კულტურამ წარმოაჩინა. ქართული სული, მენტალობა და ინტელექტუალური პოტენციალი სწორედ კულტურაში აისახა. კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, რომლის წარმოჩენას დაისახა რადიომ, გადაცემათა ამ ციკლებში მსმენელსა და საზოგადოებას მკაფიოდ უჩვენებს იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ჩვენი წინაპრები საუკუნიდან საუკუნემდე გადასცემდნენ თაობებს.

გადაცემებში წარმოჩნდება საქართველოს არამხოლოდ ისტორია, არამედ მისი კულტურა, ეთნოგრაფია, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები.

ისტორია მხოლოდ წარსულის კუთვნილება როდია. ის მუდმივად მონაწილეობს ჩვენს აწმყოში და, რამდენადაც ცოცხალია ისტორიის განცდა, იმდენად ჯანსაღი და პროგრესულია აწმყოც. შესაბამისად, ისტორიის გახსენება ადამიანს ნებისმიერ დროს ეხმარება თანადროული პრობლემების გადაჭრაში.

- *ქართლის ცხოვრების ქრონიკებში* გიამბობთ ჩვენი წარსულის შესახებ, ვისაუბრებთ პრობლემებზე, რომლებიც ისტორიული განვითარების მანძილზე დაისვა ჩვენი ქვეყნის წინაშე. წარმოვაჩენთ ცალკეულ ეპოქალურ მოვლენებს თუ პიროვნებებს, რომლებმაც საკუთარი სულიერი თუ პიროვნული ღვაწლის ფასად შექმნეს ისტორია. ჩვენი ქვეყნის მატიანეს გავიაზრებთ მსოფლიო ისტორიის ჭრილში და ვისაუბრებთ მასზე, როგორც კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილზე.
- რადიომსმენელს მოუთხრობთ ძველი ცივილიზაციების, ძველი მსოფლიოს ხალხებისა და სახელმწიფოების შესახებ, პრეისტორიული ხანის დამთავრებიდან შუა საუკუნეებამდე, ასევე, შუა საუკუნეების ისტორიის, ახალი ისტორიისა და მსოფლიოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე.
- შეახსენებს ან გააცნობს მსმენელებს მსოფლიო ისტორიის იმ გამოჩენილ ადამიანებს, რომელთაც შეცვალეს თავიანთი ეპოქა და, ამავე დროს, წარუშლელი კვალი დატოვეს კაცობრიობის ისტორიაში.
- გლობალიზაციის ნიშნით აღბეჭდილი თანამედროვე ეპოქის გამოწვევებს დღევანდელმა ადამიანმა უნდა დაუპირისპიროს ღრმა და არა ზედაპირული ცოდნა სხვადასხვა რელიგიის ისტორიისა. მსოფლიოში ორასზე მეტი რელიგიაა ცნობილი. მათ შორის მრავალი რამ საერთოა, მრავალი - განსხვავებული. რელიგიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიძველით, ტრადიციებით, შინაარსით, ფილოსოფიური სიღრმით. მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი, უდიდესი რელიგიების - ქრისტიანობის, იუდაიზმის, ისლამის, ბუდიზმის, ინდუიზმის და

სხვ. შესახებ ამ თემით დაინტერესებულ ადამიანებს უამრავ საინტერესო ინფორმაციას მივაწვდით.

- *ხელოვნების მიმართულება*

გადაცემის - შეხვედრა მხატვართან - მიზანია რადიომსმენელს უფრო ახლოს გააცნოს თანამედროვე მხატვართა როგორც შემოქმედება, ისე პირადი ცხოვრება.

გადაცემა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფერმწერთა, გრაფიკოსთა და მოქანდაკეთა ცხოვრებით და შემოქმედებით. სტუდიის სტუმრები იქნებიან თვითნასწავლი მხატვრები, სხვადასხვა დარგის დიზაინერები, არქიტექტორები, მინანქრის სპეციალისტები, ხეზე, ლითონზე მომუშავე მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები.

გადაცემებში გაშუქდება სამხატვრო სახელოსნოების მოსწავლეთა შემოქმედება, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობათა მქონე ბავშვთა გამოფენები.

სტუდიის სტუმრები იქნებიან აგრეთვე მხატვრები, რომლებიც ხატწერით არიან დაკავებულები, მხატვრები რომელთა მონდომებით და გემოვნებით მოიხატა ჩვენი ტაძრები.

რადიომსმენელი მრავალფეროვანი თემებით გაიაცნობს მსოფლიოს ქრისტიანულ სახვით ხელოვნებას. მასში მიმოიხილება: საეკლესიო ხელოვნების ისტორიის საკითხები, სხვადასხვა დარგების თავისებურებები, იკონოგრაფია-იკონოლოგიისა და მხატვრული სტილის განვითარების ძირითადი ხაზი, ცალკეული ძეგლების ისტორია, მათი დღევანდელი მდგომარეობა, რესტავრაციის მიმდინარეობა და პრობლემები, მშენებარე ძეგლები, ახალი მოხატულობები, ხატები, გამოყენებითი ხელოვნების ახლადშექმნილი ნიმუშები, ქრისტიანული არქეოლოგიის საკითხები, ძველი და ახალი ხელოვნების გამოფენები, მოქმედ და გარდაცვლილ მოღვაწეთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები, მუზეუმებსა თუ ეკლესიებში დაცული ჯვარ-ხატები, ხელნაწერები, ეკლესია-მონასტრებში მიმდინარე სარეაბილიტაციო-კვლევითი სამუშაოები.

დაცემის ფორმა სტუდიური იქნება (წინასწარი ჩაწერით). სტუმრების რაოდენობა ცვალებადი. ისინი იქნებიან მეცნიერები (ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები, არქეოლოგები, ფილოლოგები), ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მომუშავე ოსტატები (სახელგანთქმულნიც, ნაკლებად ცნობილნიც და დამწყებნიც), რესტავრატორები (არქიტექტურის, მხატვრობის, ქსოვილების, ნაქარგობის, ლითონმქანდაკებლობის, მინანქრისა და ა.შ.), მუზეუმების, ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების ხელმძღვანელები და რიგითი თანამშრომლები, სახელოვნებათმცოდნეო სასწავლებლების ხელმძღვანელები, პედაგოგები და სტუდენტები. გადაცემის სტუმართა შორის იქნებიან სასულიერო პირებიც.

ამასთანავე რადიომსმენელს მივაწვდით უფრო მეტ ინფორმაციას ხელოვნების ისტორიის და ამ სფეროს თანამედროვეობის შესახებ, რათა გავაცნოთ მსოფლიოში ცნობილი მხატვრები, არქიტექტორები, მოქანდაკეები ..., რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

- **მუსიკალური მიმართულება**

მუსიკა კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად, ეროვნული იდენტობის სიმბოლოცაა. მასში განსაკუთრებულად ჩანს ხალხის დამოკიდებულება სამყაროსთან. მისი შენარჩუნება, შესწავლა, მასზე ზრუნვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმეა და ამას არაერთმა თაობამ შეალია თავისი ძალა და ნიჭიერება. დღეს, შეცვლილი ფასეულობების, ტექნოკრატიის პირობებში, ქართული სიმღერის მოვლა და პატრონობა მრავალმხრივ ღონისძიებებს საჭიროებს. მისი პოპულარიზაცია სწორედ ამ ფასეულობათა შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

ჩვენი რადიო მუდმივად მიაწვდის მსმენელს გემოვნებიან მუსიკას-საგალობელს, ხალხურ თუ საესტრადო სიმღერას, ქართულ და მსოფლიო კლასიკის შედევრებს. ამ მიმართულებებით მომზადდება გადაცემათა ციკლები, ისინი ცალ-ცალკე თემებად განიხილება, მაგალითად, მოისმენთ საუბრებს ქართული და მსოფლიოს ხალხთა მუსიკის (საგალობელი, ხალხური, საესტრადო და კლასიკური) ისტორიასა და მნიშვნელობაზე. რა გზა განვლო ქართულმა პოლიფონიურმა სიმღერამ დასაბამიდან დღემდე, ვინ იყვნენ ის ცნობილი თუ უცნობი შემსრულებლები, ვისი წყალობითაც ამ განუმეორებელმა ხელოვნებამ ჩვენამდე მოაღწია; რა მდგომარეობაა დღეს მისი შესწავლისა და შესრულების საქმეში და, რა თქმა უნდა, კიდევ უამრავი თემა იქნება მსჯელობის საგანი მუსიკის სხვადასხვა მიმართულებით.

- *საზოგადოებრივი მიმართულება*

პროგრამის – „საუბარი ქრისტიანულ ზნეობაზე“ მიზანდასახულობას წარმოადგენს რადიომსმენელებს გააცნოს ადამიანის ზნეობრივი მოვალეობანი ღვთის, მოყვასისა და საკუთარი თავის მიმართ, წარმოაჩინოს ის, თუ რამდენად შეესატყვისება თანამედროვე ადამიანის ცხოვრება ქრისტიანულ ღვთაებრივ მოძღვრებას, წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას, საღვთო სჯულს და რამდენად ასხამს ხორცს მას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან სჯულის მსმენელები კი არ არიან მართალნი ღმერთთან, არამედ სჯულის შემსრულებელნი.

გადაცემებში ჩვენს მსმენელებს გავაცნობთ და განვუმარტავთ (წმინდა მართლმადიდებელ მამათა სწავლებიდან გამომდინარე) ქრისტიანის მოვალეობებსა და იმ სათნოებებს, რომლებისკენაც ის უნდა მიისწრაფოდეს;

გადაცემა „შეხვედრის ადგილის“ მიზანია გამოირჩეოდეს შემეცნების მაღალი ხარისხით, მსმენელი დაინტერესდეს და ეთერს მიღმა მიმდინარე პროცესების თანამონაწილედ იქცეს. გადაცემის სურვილია უფრო მეტი სფერო მოვიცვათ, უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მსმენელს და, რაც მთავარია, ეს ინფორმაცია იყოს დადებითი, კეთილი მუხტის მატარებელი, რადგან მიგვაჩნია, რომ ამქვეყნად ისე არაფერს სჭირდება ტირაჟირება, როგორც სიკეთეს, თანადგომას და სითბოს...

მთელი წლის განმავლობაში მსმენელს ვახვედრებთ ხელოვნების და კულტურის ნებისმიერი სფეროს წარმომადგენლებს - მხატვრებს, კინოხელოვანებს,

მწერლებს, პოეტებს, მსახიობებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს, მომღერლებს... მიკროფონს ვუთმობთ ცნობილ თუ ახალბედა ან საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ ადამიანებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, ცდილობენ ლამაზი და მნიშვნელოვანი კვალი დატოვონ მსმენელების, მკითხველების თუ მაყურებლების გულებში და საკუთარი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

ვცდილობთ უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი ხელოვანი, ვესაუბრებით მათ განვლილ შემოქმედებით გზაზე, აწმყოზე და მომავლის გეგმებზე, სიხარულზე, რომელსაც მუშაობის დროს განიცდიან, ტკივილზე, რომელიც, სამწუხაროდ, თან სდევს ნებისმიერ შემოქმედებით პროცესს. ვიწვევთ საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანებს, ვესაუბრებით მათ საკუთარ გეგმებზე, მიგვაჩნია, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ერის უძვირფასესი საგანძურია და მას აუცილებლად სჭირდება პოპულარიზაცია და ტირაჟირება. ვცდილობთ საკუთარი როლი შევიტანოთ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

არიან ადამიანები, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ საკუთარ მიღწევებზე და არსებობენ ისეთებიც, ვინც ჩრდილქვეშ ყოფნას არჩევს. ვცდილობთ მსმენელმა უფრო მეტი გაიგოს მათ შესახებ, მათი შემოქმედების თუ ღვაწლის შესახებ. ჩვენი გადაცემის კარი მუდამ ღიაა ნებისმიერი ასაკის ხელოვანთათვის. სიამოვნებით ვუთმობთ მიკროფონს ახალბედებს, გამოუცდელებს. მათ შესახებ კი, ვინც კარგად არის საზოგადოებისთვის ცნობილი, ვცდილობთ ექსკლუზიური ინფორმაცია მოვიძიოთ, ისეთ თემებზე ვისაუბროთ, რაც ჩვენამდე ნაკლებად იყო ნაცნობი ან ფართო აუდიტორიისთვის სრულიად უცნობია.

გარდა ამისა, უყურადღებოდ არ ვტოვებთ ემიგრანტებს. ვცდილობთ მათ ყოველთვის იგრძნონ ჩვენი თანადგომა, მხარდაჭერა და ის, რომ მათ საკუთარ ქვეყანაში მუდამ ელოდებიან.

აღვნიშნავთ ღირსშესანიშნავ თარიღებს, მნიშვნელოვან მოვლენებს, ვიხსენებთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს გვერდით აღარ არიან და მიგვაჩნია, რომ მათ აუცილებლად უნდა იცნობდნენ ახალგაზრდები, ჩვენი მომავალი თაობა.

ვცდილობთ ყურადღების გარეშე არ დავტოვოთ მეცნიერებიც, ვისაუბროთ მათ მიღწევებზე.

ხშირად ვსტუმრობთ მუზეუმებს და სახლ-მუზეუმებს. მსმენელებს ვაცნობთ მათ ისტორიას და იქ დაცულ ექსპონატებს. ვცდილობთ არც ერთი მათგანი არ დავტოვოთ ყურადღების გარეშე და ადამიანებს მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია, ვიდრე მათ აქამდე ჰქონდათ და სურვილი გავუღვივოთ ჩვენს კვალს გაჰყვნენ მუზეუმიდან მუზეუმში, საკუთარი ქვეყნის ისტორია უფრო საფუძვლიანად რომ შეისწავლონ და დააფასონ....

რადიო ივერია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან, კერძოდ, რამდენიმე უნივერსიტეტთან ერთად, ახორციელებს ერთობლივ სასწავლო-შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტს, სახელწოდებით „მცირე აკადემია“, რომელიც განათლებისა და ცოდნის მიღებაზე არის ორიენტირებული.

პროექტის მიზანია ახალი კორონავირუსის გამო შექმნილ ვითარებაში თეორიული ცოდნის დეფიციტი შეუვსოს ახალგაზრდებს. დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო მიმართავს სწავლების ალტერნატიულ გზებს და უამრავი ადამიანი იღებს ინტერნეტით ცოდნას, რადიო ივერია უნივერსიტეტებთან ერთად ამ ახალი ერთობლივი პროექტით მსმენელს სთავაზობს გადაცემათა ციკლების მეშვეობით

მეგზურობას ცოდნის სამყაროში, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროსა და დარგებში.

პროექტი მსმენელს აცნობს კონკრეტულ სფეროს, აძლევს საბაზისო ცოდნას და შესაბამისად, - ინდივიდუალური არჩევანის საშუალებას, მოიძიოს ის სფერო, რომელიც აინტერესებს.

ცოდნა, პიროვნული ზრდა და განვითარება, სულიერება, უამრავი გამოჩენილი ადამიანი და საყვარელი ლექტორები, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერები, დოქტორანტები, სტუდენტები არიან ამ გადაცემის სტუმრები.

- *შეხვედრები*

საპატრიარქოში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში, საქართველოსა და სასულიერო აკადემიაში, საპატრიარქოს უნივერსიტეტებში და სხვ. ხშირად ეწყობა ღონისძიებები. ეს შეხვედრები საინტერესო და მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოებისთვისაც და ამიტომ რადიო ამ შეხვედრებს ვრცელი რეპორტაჟების სახით ამზადებს.

- *ქართული სოფელი*

ამ რუბრიკით გაერთიანებული გადაცემების მიზანია გავაშუქოთ და სოფლის მცხოვრებლებისათვის გასაგები გავხადოთ ის დახმარებები და შეღავათები, რასაც სახელმწიფო ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის, რომლებიც აგრარული პროდუქციის წარმოებით არიან დაკავებული.

-პარალელურად უნდა მოვუსმინოთ უშუალოდ მეწარმეებს, სოფლის მაცხოვრებლებს, ფერმერებს და მათთან ერთად გავარკვიოთ არსებული ვითარება, სიძნელეები, პერსპექტივები.

_გავწიოთ ფართო საკონსულტაციო სამუშაო და ვუპასუხოთ წარმოების სფეროში დღეისთვის არსებულ საჭირბოროტო პრობლემატიკას, მივცეთ რჩევა-დარიგებები მათი რაციონალური გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებზე. ამ მიზნით, სტუდიაში გვეყოლება ს/მ სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები_მეცნიერები, პრაქტიკოსი პროფესიონალები, გამოცდილი მეწარმეები.

_გადაცემათა ციკლს მივუძღვნით ს/მ ცალკეული დარგების წინაშე მდგარი ამოცანების ღრმა გაშუქებას, მიწათმოქმედების და მეცხოველეობის, აგრეთვე მომსახურე სფეროების განვითარებაში არსებულ პრობლემატიკას.

_გავაშუქებთ ქართული ეროვნული პროდუქციის, ქართული შიდა ბაზრის დაცვის, მომხმარებელთა უფლებებისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს.

_ფართოდ გავაშუქებთ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის წინაშე არსებულ სირთულეებს, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობებს, ამ სფეროში საინვესტიციო პოლიტიკის დახვეწის წინადადებებს და სხვ.

- *გამოცემები*

რადიო გამოსაცემად ამზადებს აუდიო პროდუქციას. შეიქმნა უნიკალური არქივი, რომელიც, რაც დრო გავა უფრო ძვირფასი გახდება. ეს საგანძური მოიცავს საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს, აგრეთვე, არა მხოლოდ სასულიერო შინაარსის ძვირფას ჩანაწერებს, როგორიცაა პატრიარქის და სხვა სასულიერო პირთა ქადაგებები, ფსალმუნები, სახარებანი ... , არამედ საერო კულტურულ მემკვიდრეობას; რადიოში შექმნილ და ჩაწერილ რადიოსპექტაკლებს.

ამ ჩანაწერთა გამოცემას უდიდესი შემეცნებითი, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია აქვს.

საპატრიარქოს რადიო ,,ივერიის" კონსტანტინე ლეკიშვილი
დირექტორი

20 იანვარი, 2023 წელი